სადოქტორო პროგრამის სახელწოდება: კლინიკური პათოლოგია

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი: პროფესორი თემურ ჯორბენაძე

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

- პროგრამის მიზანი:

სადოქტორო პროგრამის მთავარი მიზანია ისეთი სპეციალისტების მომზადება, რომლებსაც შესწევთ უნარი საფუძვლიანად დაეუფლონ კვლევის კლინიკურ, პარაკლინიკურ, მორფოლოგიურ მეთოდებს; კრიტიკულად გაანალიზონ გამოკვლევის შედეგები, ობიექტურად შეაფასონ მათი მეცნიერული და პრაქტიკული ღირებულება, გაავრცელონ ისინი პუბლიკაციების, სწავლებისა და პრაქტიკულ საქმიანობაში დანერგვის გზით; შეიქმნას ოპტიმალური პირობები აუცილებელი უნარ-ჩვევების შესაძენად დოქტორანტების მომავალ პროფესორად ჩამოყალიბების მიზნით.

- სავარაუდო საკვლევი პრობლემები:

ადამიანის სიმსივნურ დაავადებებს შორის სიხშირის მიხედვით მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საჭმლის მომნელებელი სისტემის ორგანოთა სიმსივნეებს. მთელ რიგ შემთხვევებში, რუტინული მეთოდებით გამოკვლევისას გაძნელებულია სიმსივნის ჰისტოგენეზის დადგენა, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მკურნალობის ოპტიმალური მეთოდების შერჩევისათვის, ამასთანავე პროგნოზის განსაზღვრისათვის.

პროგრამის ფარგლებში საკვლევ პრობლემებს წარმოადგენს საქართველოში საჭმლის მომნელებელის სისტემის ორგანოთა კიბოსწინარე მდგომარეობებისა და ცვლილებების "ავთვისებიანობის პოტენციალის" განსაზღვრა ავადმყოფთა სქესის, ეროვნების, პროფესიისა და ასაკობრივი ცენზის მიხედვით; სიმსივნეების ჰისტოგენეზის ვერიფიკაცია ოპერაციული და ოპერაციის შემდგომი მკურნალობის მაქსიმალურად ოპტიმალური მეთოდების შერჩევის მიზნით; სიმსივნეების ავთვისებიანობის ხარისხის გამოვლენა პროგნოზის განსაზღვრისათვის.

სარძევე ჯირკვლის ავთვისებიანი სიმსივნეების შემდეგ სიხშირის მიხედვით მეორე ადგილზეა ქალის სასქესო ორგანოების ავთვისებიანი სიმსივნეები ლეტალობის ჯერ კიდევ მაღალი მაჩვენებლებით, რაც აუცილებელს ხდის მათი ვარიანტების ნატიფი მორფოლოგიური მეთოდებით გამოკვლევას მკურნალობის ოპტიმალური ტაქტიკის შერჩევისა და პროგნოზის განსაზღვრის მიზნით. ამასთანავე, დიდ ყურადღებას იმსახურებს კიბოსწინარე ცვლილებები, რომალთა პროგრესირების შედეგია ზემოხსენებული პათოლოგია.

ქალის სასქესო ორგანოების პათოლოგიის სიცოცხლინდელ მორფოლოგიურ დიაგნოსტიკას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კლინიკისათვის. მთელი მსოფლიოს მასშტაბით საშვილოსნოს ტანისა და ყელის დაავადებების დროს მორფოლოგიური გამოკვლევა პრიორიტეტულია გინეკოლოგიაში.

გინეკოლოგიური დაავადებების სრულყოფილი მორფოლოგიური დიაგნოსტიკა და დიფერენციალური დიაგნოსტიკა შეუძლებელია დაავადების კლინიკურ მიმდინარეობასა და ავადმყოფის რეპროდუქციული ფუნქციის ჰორმონულ რეგულაციაში მორფოლოგის ორიენტაციის გარეშე. ზემოთქმული განსაზღვრავს

კლინიკური მონაცემების ცოდნის აუცილებლობას მორფოლოგიური დიაგნოსტიკის დროს.

პროგრამის ფარგლებში საკვლევ პრობლემებს წარმოადგენს საქართველოში ქალის სასქესო ორგანოების ონკოპათოლოგიის (პაპილომა, მახვილწვერიანი კონდილომა, ლეიკოპლაკია, კრაუროზი, ენდოცერვიკოზი, ადენომატოზი, ეპითელიუმის დისპლაზია, პოლიპები) ადრეული კლინიკური და მორფოლოგიური ვერიფიკაცია; კიბოსწინარე ცვლილებების "ბიოლოგიური ქცევის" განსაზღვრა ავადმყოფთა ეროვნების, პროფესიისა და ასაკის მიხედვით; კიბოს ჰისტოლოგიური ვარიანტების დადგენა მკურნალობის მაქსიმალურად ოპტიმალური მეთოდების შერჩევის მიზნით; ახალწარმონაქმნის ინვაზიის სიღრმის განსაზღვრა.

პროგრამის დასრულების შემდეგ მოსალოდნელი შედეგი:

პროგრამის რეალიზაციის შედეგად:

-კლინიკურ პრაქტიკაში დაინერგება სხვადასხვა ჰისტოგენეზის სიმსივნეების ავთვისებიანობის ხარისხის განსაზღვრის მეთოდები.

-სიმსივნეების ავთვისებიანობის ხარისხის მიხედვით განისაზღვრება ოპერაციის შემდგომი მკურნალობის მეთოდები.

-განისაზღვრება სიმსივნეების "ბიოლოგიური ქცევის" პროგნოზი.

-მომზადდება სტატიები საერთაშორისო მიმოქცევაში არსებული ჟურნალებისათვის.

-მომზადდება პროექტი გრანტის მოსაპოვებლად.

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულის დარგობრივი კვალიფიკაცია

- ცოდნა -

პროგრამის დასრულების შემდეგ დოქტორს მოეთხოვება ფუნდამენტური მომზადება სამეცნიერო, პრაქტიკული და პედაგოგიური მუშაობისათვის. მან უნდა იცოდეს:

ა) მეცნიერული კვლევის უახლესი მეთოდები და მეთოდიკები;

ბ) სწავლების თანამედროვე მეთოდები;

გ) შემდეგი დისციპლინები: კლინიკური ანატომია, კლინიკური პათოლოგიური ანატომია, ზოგადი ქირურგია, ონკოლოგია, ბიოეთიკა.

- კომპეტენციები -

დოქტორანტები შეძლებენ დარგის თანამედროვე პრობლემების განსაზღვრასა და მათი გადაწყვეტის ოპტიმალური გზების დადგენას, კვლევის შედეგების სრულყოფილ ანალიზს, მათი მეცნიერული და პრაქტიკული ღირებულების განსაზღვრას.

- უნარ-ჩვევები -

დოქტორანტს ექნება ისეთი უნარ-ჩვევები, რომლებიც მისცემს დამოუკიდებელი მეცნიერული, პრაქტიკული და პედაგოგიური მუშაობის საშუალებას.

დასაქმების სფეროები:

უმაღლესი სასწავლებლების დეპარტამენტები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრები, შესაბამისი პროფილის კლინიკები.

დოქტორანტურაში მიღების წინაპირობები:

დოქტორანტურაში მიღების აუცილებელი პირობაა მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის ქონა, უცხო ენის B2 (სასურველია ინგლისურის) ცოდნა, პერსონალური კომპიუტერის გამოყენების უნარი მომხმარებლის დონეზე.

სასწავლო კომპონენტი შეადგენს 60 კრედიტს.

სამეცნიერო კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:

სადოქტორო პროგრამის კვლევითი კომპონენტი ძირითადად შესრულდება არკადი ჯორბენაძის სახელობის კლინიკური პათოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკულ ცენტრში, ნაწილობრივ ცენტრის რესურსების ხარჯზე. ცენტრს გააჩნია სრულყოფილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:

1. ჰისტოლოგიური ლაბორატორია, აღჭურვილი მიკროტომებით (როტაციული, მარხილიანი, გამყინავი), თერმოსტატებით, მაცივრით, ამწოვი კარადებით, დანებით, ყველა საჭირო ფიქსატორით, რეაქტივითა და ლაბორატორიული ჭურჭლით.
2. იმუნომორფოლოგიური ლაბორატორია, აღჭურვილი როტაციული მიკროტომით, ამწოვი კარადით, თერმოსტატებით, მაცივრით, ყველა საჭირო ფიქსატორით, რეაქტივითა და ლაბორატორიული ჭურჭლით.
3. ელექტრონულმიკროსკოპული ლაბორატორია, აღჭურვილი ელექტრონული მიკროსკოპით, ულტრატომით, ნაიფმეიკერით, ბადეებით, რეაქტივებით.

არსებული ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსებიდან გამომდინარე - სადოქტორო პროგრამაზე ერთდროულად შესაძლებელია 5 დოქტორანტის მიღება.